სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/146

ქ. თბილისი 29 სექტემბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ოთარ გელაშვილის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 სექტემბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) გაერთიანდეს საწარმოო ტექნოლოგიური მანქანებისა და მექატრონიკის და მექანიკის ინჟინერიისა და საწარმოო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;

ბ) გაერთიანდეს პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის, კვების ინდუსტრიის და სატყეო-ტექნიკური აკადემიური დეპარტამენტები და ბაზაზე ჩამოყალიბდეს სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;

გ) გაერთიანდეს საავტომობილო ტრანსპორტის და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტები და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდეს საავტომობილო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტი;

დ) ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის აკადემიურ დეპარტამენტს ეწოდოს ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის აკადემიური დეპარტამენტი.

2. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტრუქტურაში აკადემიური დეპარტამენტები განთავსდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
ა) 501. მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;
ბ) 502. სამრეწველო ინჟინერიისა და ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;
გ) 503.საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის აკადემიური დეპარტამენტი;
დ)504.ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის აკადემიური დეპარტამენტი;
ე) 505.საავტომობილო ტრანსპორტისა და ლოგისტიკის აკადემიური დეპარტამენტი;
ვ) 506.სარკინიგზო ტრანსპორტის აკადემიური დეპარტამენტი;
ზ)15. საგზაო აკადემიური დეპარტამენტი (სამშენებლო ფაკულტეტის და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ფაკულტეტთშორისო დეპარტამენტი).

3. ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევიდეს 2021 წლის 11ოქტომბრიდან.

4. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში.

5. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

6. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ოთარ გელაშვილს.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**